საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2659 2017 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და კომპანია „Pomagalski"-ს შორის 2011 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებულ საქართველოში, სვანეთში, მესტიაში ზედაპირული საბაგიროების, ფიქსირებული სკამ-საბაგიროებისა და მოცილებადი საბაგიროების მიწოდების შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დამატებით გასაფორმებელი შეთანხმების შესახებ

1. „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილების პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და კომპანია „Pomagalski"-ს შორის 2011 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებულ საქართველოში, სვანეთში, მესტიაში ზედაპირული საბაგიროების, ფიქსირებული სკამ-საბაგიროებისა და მოცილებადი საბაგიროების მიწოდების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დამატებით გასაფორმებელი შეთანხმება.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ დამატებით შეთანხმებაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს, დიმიტრი ქუმსიშვილს.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**